ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 30 მარტი №3 (8202) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

ДАУНІС СІНДРОМІС МСОФЛІО ДЦЕ გვ2.

ბრემენში, ძიუდოს საერთაშორისო ტურნირზე გვ2.

საგაზაფხულო სამუშაოები გვ3.

სტუმრები კასპის უფასო სასადილოს და მოხუცთა სახლის ქალბატონებთან გვ3.

გამყოფი ხაზისპირა სოფელ გორაკაში

სოფელ მეტეხში დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი გვ3.

გვ7.

ჩოგბურთი: მეფისქალაქში საჩოგბურთო სკოლა იხსნება გვ5.

კასპელ მოზარდებს სემინარი კორეელმა სენსეიმ ჩაუტარა გვ5.

ფერმისა და ჩანგილარის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები გვ2.

ხხლი სხვვშვი ბგა-ბლი ოემს ძველ ფუე-ბრუში ... გვ4.

არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს გვ2.

მარტის ფიასკო — საკუთარ მოედანზე გვ5.

გვ3.. ქალთა ნახატების საგაზაფხულო გამოფენა

რასა იქმთ, მწვრთნელო - შეგირდო! გვ5.

გვ7-8. როცა ინტერნეტი ვერ ვრცელობდა ...

ფრენბურთელები — მხარის ჩემპიონები გვ7.

გვ3. საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის განკუთვნილი ახალი კონტეინერები

გვ 5. სამთავისელი გეზმორბენლები — მხარის ჩემპიონები

სოფელ ბარნაბიანთკარში გვ5.

მოსწავლეთა უმაღლესი ლიგის საგზური ნიკოლოზისათვის გვ5

საქართველოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გვ3.

გახდით ჩვენი მკითხველი

ბრემენში, ძიუდოს საერთაშორისო ტურნირზე

კასპის მუნიციპალიტეტის 8 ახალგაზრდა წარმატებული ძიუდოისტი გერმანიის ქალაქ ბრემენში, ძიუდოს საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ძიუდოისტებს გამგზავრებამდე მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი შეხვდნენ.

ახალგაზრდები ბრემენის ტურნირში ქალაქის ძიუდოს კლუბის პრეზიდენტის სპეციალური მიწვევით მიემგზავრებიან, რომელშიც 20 ქვეყნის 800 მოჭიდავე მიიღებს მონაწილეობას.

ვახტანგ მაისურაძემ და შოთა ბეგლარაშვილმა ახალგაზრდებს და მწვრთნელს იოსებ მამულაშვილს ტურნირში წარმატებები უსურვეს და მომავალ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაში მხარდაჭერაც აღუთქვეს.

საგაზაფხულო სამუშაოები

ქალაქ კასპის სკვერებში საგაზაფხულო სამუშაოები დამთავრდა.

გიორგი სააკაძის სახელობის ცენტრალურ სკვერში ჩატარებულ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი გაეცნო.

საგაზაფხულო სამუშაოები ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობის" გამწვანების სამსახურმა ჩაატარა.

ქალაქის სკვერების კეთილმოწყობა მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ადგილობრივი პატარებისთვის დასვენებისა და გართობის ერთ-ერთი მთავარი ადგილია.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ კასპში მოქმედ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი "მომავლის" ბენეფიციარებისათვის საზეიმო ღონისძიება გამართა. ბენეფიციარების განწყობაზე სპეციალურად მოწვეულმა ზღაპრის გმირებმა იზრუნეს.

ღონისძიების დასასრულს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა ბავშვებს საჩუქრები გადასცეს. მუნიციპალიტეტის მერია დაუნის სინდრომის მქონე ბენეფიციარებზე ყოველწლიურად ერთჯერადად 400 ლარს, ხოლო სარეაბილიტაციო დახმარებისათვის 1 000 ლარს გასცემს.

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება

გამყოფი ხაზისპირა სოფელ გორაკაში



კასპის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან და გამყოფი ხაზისპირა სოფელ გორაკაში მისასვლელი გზის სამუშაოები დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში დაიგება 1 795 გრძივი მეტრი ასფალტის საფარი, მოეწყობა სანიაღვრეები, გზის გადამკვეთები და ეზოში შესასვლელები.

გზის რეაბილიტაციას, რომელზეც ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა შპს "იბოლია" ახორციელებს.

პროექტი ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

სოფელ ბარნაბიანთკარში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარნაბიანთკარში დასრულდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაო.

მოასფალტდა 1 კილომეტრზე მეტი სიგრძის გზა, მოეწყო ეზოში შესასვლელები, გზის გადამკვეთი ლითონის მილები, მოინიშნა საავტომობილო გზა.

სოფელ ბარნაბიანთკარის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

დასრულებული პროექტი უზრუნველყოფს მოსახლეობის და ტრანსპორტის კომფორტულ გადაადგილებას.

არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

სოფელ ერთაწმინდაში 760 გრძივი მეტრი გზის არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ბესკო" ამ ეტაპზე წინა მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს.

სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

გზის რელიეფი მკვეთრად ფერდობიანია, სარგებლობს 30 ოჯახზე მეტი და პარალელურად მიმდინარეობს განაშენიანება. გზა გადაადგილებისას არის საშიშროების შემცველი, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში.

პროექტის დასრულება, გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის მოგვარებასაც.

ფერმისა და ჩანგილარის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფლების ფერმისა და ჩანგილარის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს გაეცნენ.

1000 გრძივი მეტრი გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჩაგელა" ახორციელებს.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

რეაბილიტირებული გზა უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება

ვარჯაანის დასახლებაში

ქალაქ კასპში, ვარჯაანის დასახლებაში მიმდინარე პროექტი, რომელიც 5 ქუჩის - ქართლის, ბარათაშვილის, თბილისის, კახეთისა და აჭარის ქუჩების მოასფალტებას ითვალისწინებდა, დასრულების პროცესშია.

პროექტი გარდამავალია, გასულ წელს უკვე კეთილმოეწყო ქართლის, ბარათაშვილის და თბილისის ქუჩები. 2024 წელს კი პროექტი გაგრძელდა კახეთისა და აჭარის ქუჩებზე, რომლის სამუშაოების მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს, რომელსაც შპს "დინ გრუპი" ახორციელებს.

სოფელ მეტეხში დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში, ე.წ. "გეჯაანთ უბნის" გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. 913 გრძივი მეტრი გზის წინა მოსამზადებელ სამუშაოებს ელქტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჩაგელა" ახორციელებს.

გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტები ცხაურის ღარებით, გზის მიერთებები და ეზოში შესასვლელები.

კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობის კომფორტულ და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას.

ქალთა ნახატების საგაზაფხულო გამოფენა

კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ქალთა საგაზაფხულო ნახატების გამოფენა გაიმართა.

გამოფენა ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს მიეძღვნა.

გამოფენაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები: თეა ქუტაშვილი, მაია კილაძე, მაკა დარბიაშვილი, რიმა შერმადინი, ანანო იმერლიშვილი, გულნარა ჩიტიშვილი, მარიკა პაიჭაძე და ქეთი კოპაძე.

გამოფენას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გამოფენის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს.

სტუმრები კასპის უფასო სასადილოს და მოხუცთა სახლის ქალბატონებთან

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, კასპის უფასო სასადილოს და მოხუცთა სახლის ქალბატონებს ესტუმრნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს, ყვავილები და ტკბილეული გადასცეს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის განკუთვნილი ახალი კონტეინერები

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ 100 ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის განკუთვნილი კონტეინერი შეიძინა. ახალი კონტეინერები ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობას" გადაეცა, რომლებსაც სხვადასხვა ლოკაციაზე ეტაპობრივად განათავსებს და ჩაანაცვლებს. მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს შენარჩუნების მიზნით, მერიამ სამი წლის განმავლობაში 500 კონტეინერი და 4 თანამედროვე სპეციფიკური ნარჩენმზიდი ავტომანქანა შეიძინა.

"ეიმეგოზროთ" ძვირფასო პატარებო, კარგა ხანია ვურდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე რაზე საუბრობდა მშობლებს სსსულარ სურალიათ...

თქვენ ახლა გაურლებით ბევრი იურთ ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო, საიამოვნო და სახალისო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ტრაქურიონებზე, გადამალულ და ჯერ ვერ მოძიებულ საგანძურზე...

მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

შეხვედრამდე!

,,კეხურა,,

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი ოკამის ძველ ტყე-პარკში ...

*** პეტრე ქემოკლიძე – შპს "მატრიცას" სამშენებლო სამუშაოთა მენეჯერი: – კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობის დამკვეთია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საამისოდ გამოყოფილია 1 630 000 ლარი.

ახალმშენებლობისათვის კონკრეტული ადგილი საგანგებოდ შევარჩიეთ. პროექტით გათვალისწინებულის მცირეოდენი გადმონაცვლება გახდა საჭირო. აქ უფრო მყარი და ნაცადი ნიადაგია – ესაა აქაური ძველი კლუბის ნანგრევების ნარჩენებისაგან გამონთავისუფლებული ტერიტორია. საჭიროებიდან გამომდინარეობს ერთ მხარეზე საყრდენი კედლის ამოყვანა, რასაც ახლო ხანებში ვაპირებთ.

მშენებლებმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, პირველი ბარი 2023 წლის ნოემბრის დასაწყისიდან დავკარით. მშენებლობის გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების ეტაპობრივი მონაცვლეობის ტემპს არა თუ ვიცავთ, წინსწრებითაც მივდივართ. ამჟამად გამართულია მთლიანი კონსტრუქციული ნაწილი და მოწყობილია ნაგებობის სახურავი. ეს გვაძლევს შიდა სამუშაოების შეუფერხებლად შესრულების საშუალებას. ახლა, როცა საგაზაფხულო ამინდი ჭირვეულობს, ვერც წვიმა და ვერც ქარი ხელს ვერ შეგვიშლის. ამიტომაა, რომ მშენებლები ყოველდღიურად საქმიანობენ შიდა სივრცითი მოცულობის გამოკვეთაზე, სათავსოებისა და ოთახების კედლებისა და ტიხრების ამოყვანაზე, აბათქაშებენ და ლესავენ კიდეც... ერთი სიტყვით, სამუშაოთა ფრონტზე კარგი დახლი გვიდგას... უკვე არა მარტო დაიმედებით ვამბობთ, რომ განვლილ ოთხ თვეში (თანაც, ნუ დავივიწყებთ, ზამთრის პერიოდში), უკვე დაძლეულია საერთო საკეთებლის 40-45 პროცენტი, იმასაც გადაწყვეტით გეტყვით, რომ ივლისისათვის ობიექტს გადავცემთ. მისი დამთავრების ვადა წლევანდელი ნოემბერია, მაგრამ პირობას ვიძლევით, ოკმელი ბავშვები უკვე სასექტემბროდ ახალი ბაღის კარს შეაღებენ.



კიდევ ერთი, რისი აღნიშვნაც აუცილებლად გვსურს: მშენებლობის მიმდინარეობით ფრიად დაინტერესებულია როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულის, ისე მუნიციპალური მმართველობა, ხელმძღვანელობა, ადგილობრივი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექციის ჩათვლით. ამიტომაა, რომ მშენებლობის წარმართვის ყოველთვიურ კურსში არიან.

*** კობა ჩიტაშვილი – კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ოკმის ადმინისტრაციულ ერთეულში:

– ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში ამჟამად 4 სოფელი შემოდის: ოკამი, თეზი, ჩანგილარი და ფერმა. ის, რაც სადღეისოდ ქსნისპირული მხარის ამ სოფლებში ხდება, მოზარდი თაობის აღზრდა-სწავლების სათანადო პირობების შექმნის თვალსაზრისით, ქვეყნის ავადმოშურნესაც კი გააოცებს, კეთილმსურველებს კი მოუმრავლებს და გაახარებს. აბა, ჩამოვთვალოთ სასიკეთო საქმენი: ფერმაში საჯარო სკოლის მშენებლობა იწყება, თეზში საბავშვო ბაღის შენობის განახლება-რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ჩანგილარსა და ოკამში სულაც ახალი, ტიპიური, თანამედროვე მოთხოვნების სრულად შესაბამისი, ნაგებობები შენდება. ჰოდა, როგორ არ გვიხაროდეს: ამ კუთხეში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

სოფელ ოკამში ახალი ბაღის მალე დამთავრების პათოსი ახარებს აქაურებს, ყველა ადამიანს, ვისაც უვლია თვითონ აქაურ ბაღში, ანდა, ახლა დაჰყავთ შვილები და შვილიშვილები – ეს ადამიანურად გასაგებია – მაგრამ, იმავე დროს, არსებითია ერთი ნიუანსი: სოფლის ბაღის მშენებლობაზე დასაქმებული არიან, ძირითადად, ადგილობრივი ახალგაზრდა თუ გამოცდილი ხელოსნები და ოსტატები, ვისაც აქამდეც უშენებია და დღეს კი სოფლის ხვალინდელობის შექმნაში დაუდვია წილი, ანუ ოჯახური შემოსავალი ადგილზევე გამოუჩნდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი საკუთარი პატარებისა და თანასოფლელი გოგო-ბიჭებისათვის აშენებენ სააღმზრდელო ჭერქვეითს, ქვეყნის ხვალინდელობას უდგანან ბურჯად.

*** გვესაუბრებიან სოფელ ოკამის საბავშვო ბაღის მშენებლები:

ნიკა ჩიტიშვილი (29 წლის) – ძალიან მიხარია, რომ ჩემი 5 წლის ბიჭუნა, ალექსანდრე, მამისავე აშენებულ ბაღში ივლის. ყოველ დილით ხალისით მიდის ბაღში, ახლა კი ახალშიც მოუწევს. სამაგიეროდ, მსურს, იქ მშვიდობით პირველად შეაბიჯოს ჩემმა პატარა მაშიკომაც. ოჯახში უკვე 2 ბაღელი გვეყოლება. მათი უფროსი დაიკო, ანა, უკვე სკოლის მოსწავლეა. ცხადია, ისიც სოფლის ბაღში დაგვყავდა.

ქართლოს მეშველაშვილი – შინ 2 წლის კოტიკო მყავს, ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის სახელი დავარქვი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ქართველის გაზრდა მინდა... ჰოდა, მისთვის და ჩემი სოფლის ხვალინდელი თაობისათვის განკუთვნილ ამ მშენებლობაზე, განა, უგულოდ, არაქართველურად გავაკეთებ საჩემო საქმეს? არა და ვერა! ნეტა, მალე მოვიდეს სექტემბერი, მე და ჩემი ბიჭი ერთად წამოვალთ ბაღში.

ჯანო ხადური – მალე მეათე შვილიშვილს ველოდებით, მდიდარი პაპა მაგით ვარ. ამჟამად სამი პატარაა ბაღის ასაკისა და დადიან კიდეც. სხვები უკვე სკოლაში დადიან, რისთვისაც საბაზისო სააღმზრდელო პერიოდი მათაც სოფლის ბაღში გაატარეს.

გიორგი შამანაური (37 წლის, ყოფილი სპორტსმენი, კიკბოქსინგელი) – ჩემი ანასტასია ახლა პირველკლასელია. 4 წელი მანაც სოფლის ბაღში მოითავა, როგორც მისმა უფროსმა დებმა.

... ასევე, შვილიშვილების პატრონია როინ ქავთარაძე, ვინც 30-წლიანი სტაჟისა და გამოცდილების მქონე მშენებელია. სხვათა შორის, მისი მამაც – ბიჭიკო (ქუცო) – სოფლის სასახელო მშენებელთა პლეადიდან იყო.

რომან ზანგური (გამოცდილი მშენებელი) – ყველანი სოფლის შვილები ვართ, ერთმანეთის მცნობი, მეგობრები და გამტანები. აი, სოსო გიგაურს ბაღი აქვს მოსახნავი და დღეს ვერ "გვესწრება". ახლა, ალბათ, ტრაქტორის ხმაურშიც მღერის. ის კარგი მომღერალია, კასპის "მოურავის" წევრია და შიგადაშიგ ბაღის მშენებლობის დროსაც გაგვახალისებს ხოლმე.

*** ნათია ჩიტაშვილი – სოფელ ოკმის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე (2019 წლის ივლისიდან):

– უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ ქ. კასპში ერთ-ერთ სკოლაში სპეციალობით დავიწყე მუშაობა. მალე საბავშვო ბაღში გადავინაცვლე. დედაჩემიც, მეგი ჩიტაშვილი, სკოლმდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილი მუშაკი იყო და, აგერ, თითქოს განგების ნებით მისეული საქმიანობის წრეში ჩამაბა... ის ჩვენსავე სოფელში ძალიან დიდხანს მუშაობდა საბავშვო ბაღში, ჯერ აღმზრდელად, მერე კი გამგედ. ასეთი რამ, მართლაც, იშვიათად ხდება: ახლა მისი პოზიცია მიკავია და მის სამუშაო მაგიდას ვუზივარ. დიახ, ასეა, საკუთარი მშობლის წარმოსახვითი რჩევები და დარიგებები თითქოს ისევ ჩამესმის და მუშაობაში მეხმარება.

ჩვენი ბაღი გაისად დაარსების 65-წლისთავს იზეიმებს. მისი კოლექტივი წინა საუკუნიდან მოდის:

ოკამში საბავშვო ბაღის ისტორიის თავფურცელი 1960 წელს გადაიშალა, რომლის მატიანურს სათავე დაუდო ღვთისნიერმა კაცმა, სოფლის მოამაგე თავკაცმა აკაკი ქაჯაიამ.

ბაღი მაშინ ორი ჯგუფით დაკომპლექტდა. გამგედ დაინიშნა თამარ ტერტეროვი, უფროსთა ჯგუფში აღმზრდელად – მერი კიკნაველიძე, ხოლო უმცროსთა – ეთერ გამხიტაშვილი. 1966 წელს ეს უკანასკნელი გამგედ გადაიყვანეს, მას კი ჯგუფში შეენაცვლა ნარგიზა ჩიტაშვილი. აღმზრდელების თანაშემწეები იყვნენ ნინა შუკაკიძე და მანია შუკაკიძე. 1967 წელს აღმზრდელად დაინიშნა მარინე თამაზაშვილი (შეცვალა ნარგიზა ჩიტაშვილი)... 1969-დან გამოჩნდა ჩიტაშვილების "დედაშვილური დინასტიის" სათავედამდები ქალბატონი და

დასასრული გვ8.

ᲙᲐᲠᲐᲢᲔ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲔ-ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი წლევანდელ 2 მარტს ჩატარდა ქ. გორის სპორტის ახალ სასახლეში. ქვეყნის კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებული ღონისძიება, რომელსაც მხარი დაუჭირა ადგილობრივმა საქალაქო მუნიციპალიტეტმა და შპს "სპორტსმენმა", რამდენიმე ნიშანდობლივი სიახლით გამოირჩა: ქართული სპორტული კარატეს ისტორიაში პირველად მას მოემსახურა საერთაშორისო ლიცენზიის მქონე ქართველი 7 მსაჯი; მასში საასპარეზოდ შეიკრიბა 400-ზე მეტი ახალგაზრდა კარატისტი (12-დან 20-წლამდე ასაკისა).

ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ კასპელი კარატისტები: ელენე ჩიტიშვილი და ვახტანგ წიკლაური – კასპის კლუბი "ხვადის" წევრები (მწვრთნელი დავით დალაქიშვილი). საქართველოს ნაკრების წევრმა, ელენე ჩიტიშვილმა, ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონობა კვლავ დაიმსახურა. ვახტანგ წიკლაურმა კი მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა. მათ გადაეცათ ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ᲙᲐᲡᲞᲔᲚ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲜᲡᲔᲘᲛ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲐ

რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ხანგრძლივი სპორტული მივლინებით იმყოფება სამხრეთკორეელი კარატისტი და მწვრთნელი დუხ ვილი. სენსეი ლი ქვეყნის ამ სახეობის ფედერაციასთან ნაყოფიერად თანამშრომლობს, კონსულტაციებითა და რეკომენდაციარჩევებით ეხმარება, დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ავარჯიშებს კარატის მოყვარულ და მიმდევარ ახალგაზრდებს.

კორეელი სენსეი კასპსაც კარგად იცნობს. უკვე მოასწრო აქაურ მწვრთნელებთან, ალექსანდრე მანძულაშვილთან, ლევან მამულაშვილთანა და მათ შეგირდებთან დამეგობრება. აგერ, წელსაც, 9 მარტს, კვლავ სტუმრობდა კასპის სპორტკომპლექსის სასპორტო დარბაზში და რამდენიმესაათიანი სემინარული მეცადინეობა ჩაუტარა კარატეს სექციურ ჯგუფებში მოვარჯიშე გოგო-ბიჭებს.

სენსეი ლი ჩვენს ქალაქს უკვე მესამედ ეწვია.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ:

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲝᲡᲐᲜᲘ

– ქ. მცხეთის ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატების სკოლაში ა. წ. 3 მარტს ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდა ჩვენი გაერთიანების მოსწავლე-მოჭიდავეთაგან დაკომპლექტებული 11-წევრიანი გუნდი. საერთო შედეგით გახარებული ვართ, – ამბობენ შეგირდების წარმატებული გამოსვლით კმაყოფილი მწვრთნელები მერაბ ბუნტური და თემურ გაბოძე, – თავად განსაჯეთ, მათგან 6-მა შეძლო მედლების მოპოვება. გაგაცნობთ ჩვენს ჩემპიონებსა და პრიზიორებს:

პირველი ადგილი – დავით დარახველიძე, ნიკა ავლოხაშვილი და დაჩი ავლოხაშვილი; მეორე – ნიკა კორაშვილი, მესამე ადგილი – გივიკო ქებაძე და ლუკა ბერიანიძე.

... პაპის სიხარულსა და კმაყოფილებას წინ ათიოდე დღით უსწრებდა კიდევ ერთი შეგირდის წარმატებით მოგვრილი სიამე, რაც თემურ გაბოძის შვილიშვილმა, დავით კობახიძემ, მიანიჭა თებერვლის ბოლოს ქ. რუსთავში მიღწეული პრიზიორობით: ვეტერანი მოჭიდავისა და აწ მწვრთნელის სისხლმა და ხორცმა მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში თვითონ კი იმარჯვა, მაგრამ, აუცილებლად, პაპისეული მოწადინებით, შრომით, იმედებით, სურვილებით...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ:

ᲠᲐᲡᲐ ᲘᲥᲛᲗ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲝ – ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲝ!

საქართველოს პირველობას ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის ქ. ხაშურის სასპორტო დარბაზმა უმასპინძლა. ტრადიციული გაგებითა და საჭიდაო თვალსაზრისითაც, ქართულ ჭიდაობას ღია არენაზე, ბუნების წიაღში, გამართული ასპარეზობა შეეფერება და უხდება. მაგრამ არც ზამთრის პერიოდია გამონაკლისი და დარბაზებში კი ლეიბების გაშლას, აბა, წინ ვინღა დაუდგება, ზედაც გემრიელი "საჭიდაოს" მუსიკა და, კიდევ, ცეცხლშენთებული ტალიკტალიკი მოჭიდავენი... ჰო, დავუბრუნდეთ ხაშურის 2-დღიან შეჯიბრებას

კასპელი ჭაბუკებიდან იქ ყველაზე უკეთ გამოვიდა გიორგი მანჯავიძე, რომელმაც 40-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იასპარეზა და დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი. იმედისმომცემი და პერსპექტიული ყმაწვილკაცის მწვრთნელია დავით გეჯაძე, რომელიც თვითონაც ნაცადი მოჭიდავეა და ახლა კი სოფელ მეტეხში ავარჯიშებს თანასოფლელ მოზარდებს. სულ 2-3 წელია, რაც მწვრთნელობას შეუდგა და უკვე გამოჩნდნენ მისი ხელდასმული მოწაფეები. ის სისტემატურად აქტიურობს კასპში გამართული საჭიდაო ღონისძიებების ორგანიზებაშიც, როგორც მსაჯი-ინფორმატორი. ასეა, როგორც მოჭიდავე იზრდება და ოსტატდება, პარალელურად უნდა მატულობდეს მწვრთნელის კვალიფიკაციაცა და გამოცდილებაც. სხვანაირად წარმოუდგენელია ოსტატისა და შეგირდის დუეტის წარმატებული შედგომა!

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ:

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

წლევანდელი მარტის სასკოლო 2-კვირიანი არდადეგების დღეებში პატარა ნიკოლოზი და მისი მამა – ახალციხის საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი შამილ ჯანგიშერაშვილი როდი უქმობდნენ. საქმე ისაა, რომ ქ. თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს პირველობა ტარდებოდა (სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში) და, აბა, თერთმეტი წლის ჭადრაკზე შეყვარებული ბიჭუნა იქ რომ არ გამოსულიყო, როგორ იქნებოდა! ნიკოლოზმა 12-წლამდელთა შორის იასპარეზა და 7 შესაძლებელი და მაქსიმალური ქულიდან 5 მოაგროვა, რაც საკმარისი გამოდგა მე-3 ადგილის დასაკავებლად. მას მხოლოდ თბილისელმა ნიკოლოზ ჯიბლაძემ და გორელმა ანდრია ქრისტესიაშვილმა გადაუსწრო (შესაბამისად 0,5 და 1 ქულით).

დავაზუსტებთ, რომ ეს იყო საქართველოს აღმოსავლეთი მხარის ზონალური პირველობა და აქ საუკეთესო ხუთეულებში შესულმა მოჭადრაკეებმა მიიღეს უმაღლეს ლიგაში საასპარეზოდ გამოსვლის საგზურები. ასე რომ, პირველი ლიგის ბარიერი ჩვენმა ყოჩაღმა ნიკოლოზმა გაიარა და სულ მალე, უკვე უმაღლეს ლიგაში ("დასავლეთელებთან" ერთად) გაეპაექრება ერთი წლით უფროს მეტოქეებს, უკვე საქართველოს ჩემპიონობისათვის. წარმატება გვისურვებია!

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ:

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲤᲘᲐᲡᲙᲝ – ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

გორი შიდა ქართლის მხარის სხვა ქალაქებთან (ხაშური, ქარელი, კასპი) შედარებით ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია. ამას წინათ საქართველოში საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრება გაიარა ქ. ასტანის (ყაზახეთი) საფეხბურთო აკადემია "ასტანას" ბავშვთა ორმა გუნდმა. ისინი გორში იმყოფებოდნენ "გორის ახალგაზრდა ფეხბურთელთა განვითარების" პროგრამის ფარგლებით დაგეგმილი სპეციალური მოპატიჟებით. მათ თამაშები გამართეს გორელ და თბილისელ თანატოლებთან. ასევე, ეწვივნენ ქ. კასპსაც, სადაც მათ ახლდა მასპინძელი და აღნიშნული პროგრამის კოორდინატორი მამუკა ვარდოსანიძე.

კასპის საფეხბურთო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა ორივე თამაში პირწმინდად წააგეს (ერთმა გუნდმა – 0:5, მეორემ კი 1:6 და ეს ერთი ბურთიც პენალტის წყალობით "აჩუქეს" ყაზახ თანატოლებს). ერთი სიტყვით, ასტანელებმა კასპელებს ისეთი "გაკვეთილი" ჩაგვიტარეს, რომელიც ღირს დასაფიქრებლად, საკითხის არსში ჩასაღრმავებლად! აი, რა დონიდან, ბავშვთა ფეხბურთიდან დაიწყეს ყაზახეთში ეროვნული ფეხბურთის პრესტიჟის ამაღლება! რად ღირს თუნდაც ასეთი ფაქტი: 13-15 წლის ასტანელი ბიჭები თავიანთი ნაკრების ფერებში გაწყობილი ფორმით რომ გამოდიან მოედანზე სათამაშოდ!

ისე, რა ამ "პატარა ფიასკოს" თემის გაგრძელებაა, და, ჩვენი ქალაქის საფეხბურთო გუნდმა "კასპი – 1936"-მა, რომელიც საქართველოს რეგიონლიგის მე-5 დონეზე გამოდის, მარტის ბოლო ამხანაგური თამაში საკუთარ მოედანზე დათმო ახალციხის "მესხეთთან" – 0:4 (მართალია, პირველ ტაიმში არ გაუშვა პენალტიდან დარტყმული ბურთი, სამაგიეროდ, მეორეში გაწბილდა და მესხური "ციხე" ერთხელაც ვერ დალაშქრა).

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ:

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲔᲚᲘ ᲒᲔᲖᲛᲝᲠᲑᲔᲜᲚᲔᲑᲘ – ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

სოფელ სამთავისის საჯარო სკოლის (დირექტორი – ლელა ჩერქეზიშვილი, სპორტის პედაგოგი ლალი ხარაიშვილი) მოსწავლე-ვაჟთა გუნდმა გეზრბენში მუნიციპალური პირველობის ჩემპიონობით მოიპოვა შემდგომ ეტაპზე გამოსვლის უფლება.

და, აი, სამთავისელმა გეზმორბენლებმა ახლა უკვე სამხარეო დონეზე მიაღწიეს საჩემპიონო სტატუსის ხარისხობრივ გაუმჯობესებას: შიდა ქართლის მხარის სასკოლო ოლიმპიადის თამაშების ფინალური ეტაპის გამარჯვებულები გახდნენ!

წარმოგიდგენთ მხარის ჩემპიონი გუნდის კვარტეტს: ზაურ ბიგანაშვილი, ბექა გამხიტაშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და ირაკლი შიუკაშვილი. ამ ეტაპზე ისინი სპორტული სამოსით სკოლის დირექციამ უზრუნველყო.

ᲙᲐᲡᲞᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ – ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ანალოგიური თამაშების ამავე ეტაპის გამარჯვებული გუნდის სახელი მოიპოვეს, ასევე, ქ. კასპის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე-ფრენბურთელებმა (დირექტორი – დარეჯან ჯანგავაძე-ყარალაშვილი, სპორტის პედაგოგები თენგიზ ქოსაშვილი და მიხეილ მაკეევიჩი).

*** ორივე გუნდის წარმატება იმითაც ფასობს, რომ ორივემ იყოჩაღა არა "საკუთარი კედლების" ფაქტორის ძალით, არამედ სამთავისელმა ჭაბუკებმა ქ. ხაშურში გაიმარჯვეს, კასპელებმა კი ქ. გორში.

ახლა მათ შემდგომი, უფრო მაღალი, ბარიერის დაძლევა მოუწევთ –აღმოსავლეთ საქართველოს მხარეების ჩემპიონებთან მოუხდებათ გაპაექრება.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ: „ᲛᲔᲤᲘᲡᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ„ ᲡᲐᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

სოფელ ახალქალაქში (რომელიც ქართულ ისტორიაში ცნობილია "მეფისქალაქის" სახელით) 2023 წელს თანამედროვე სტანდარტების საჩოგბურთო კორტი გაიხსნა.

აგერ, სასიამოვნო სიახლე: ახალქალაქის კორტზე აპრილიდან საჩოგბურთო სკოლა ფუძნდება. სათანადო განცხადებით მისი მესვეურები იუწყებიან, რომ დაწყებულია მსურველთა მიღება ჩოგბურთის სამეცადინო-სავარჯიშო ჯგუფებში (ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით).

კასპელი მოჭიდავეები ბრემენში

მარტის ბოლოს, როცა "ახალი განთიადი" დაიბეჭდება და მკითხველი ხელში აიღებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტული დელეგაცია (რვა მოჭიდავე და მათი თანმხლები მწვრთნელები) ჯერაც გერმანიის ქალაქ ბრემენში იქნებიან. საქმე ისაა, რომ იქ ა. წ. 23 და 24 მარტს გაიმართა იქაური ძიუდოს კლუბის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირი, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ კასპელი მოჭიდავეები რამდენიმე დღით დარჩებოდნენ ბრემენ-კლუბის მასტერსის ერთობლივ წვრთნაში მონაწილეობისათვის.

ეს ისეთი ახალი ამბავია, რომლის მსგავსი იშვიათად ხდება, ანდა, გვსმენია. ფაქტი სახეზეა: ბრემენულ ტურნირს თითქმის 40-წლიანი ისტორია გააჩნია და მასში პირველად მონაწილეობს ერთიანი გუნდი საქართველოდან (სათვალავში არ მიიღება სხვა ქვეყნების ნაკრებების გუნდების სახელით გამოსული ქართველი რამდენიმე სპორტსმენის ასპარეზობა). ეს გუნდი კი კასპის სახელით დაიცავს საქართველოს დროშის პატივსა და ღირსებას. თანაც, ეს ხდება საგანგებო მიწვევა-მიპატიჟების საფუძველზე.

როცა ძიუდო ისევ ეძიებს, ძიუდობს ...

თემატურ რკალში "ჭიდაობა ძიუდოს ამბები" წარმოგიდგენთ რამდენიმე ინფორმაციას ძიუდოს სამყაროდან: ვისაუბრებთ თებერვალ-მარტში ჩვენში და უცხოეთში გამართულ ტურნირებზე, რომლებიც უკვე დამთავრდა ცოტა ადრე თუ ამ დღეებში, გაგაცნობთ ვეტერან თუ ახალბედა ძიუდოისტების მიერ მოპოვებულ შედეგებს, გაგახარებთ უკვე მიღწეულითა თუ სახვალიოდ მისაღწევით:

კასპურ-ბრემენულ ამბავს ასეთი წინაპირობული ისტორია გააჩნია: 2023 წლის დეკემბერში კასპის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე სპეციალური წერილი მოვიდა. აი, ისიც:

"პატივცემულო ვახტანგ მაისურაძევ!

მე მქვია ნორბერტ სპეკერი. ვარ გერმანიის ქ. ბრემენის ძიუდოს კლუბის პრეზიდენტი. გაცნობებთ, რომ ჩვენი კლუბი ყოველწლიურად მართავს ძიუდოს საერთაშორისო ტურნირს ბრემენში.

გთავაზობთ წინადადებას, რომ კასპის მუნიციპალიტეტიდან ვიწვევთ 8 (რვა) ძიუდოისტსა (18-21 წლის ასაკის) და 2 (ორ) მწვრთნელს 2024 წლის 23-24 მარტის მასტერტურნირში "ბრემენი – 2024" მონაწილეობის მისაღებად.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ ბრემენის მასტერსს თითქმის 40-წლიანი ისტორია გააჩნია. წლევანდელი შეჯიბრებისათვის ველოდებით დაახლოებით 800 ძიუდოისტს 20-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის იაპონიიდან, ბრაზილიიდან, კანადიდან, აზერბაიჯანიდან, ევროპული მრავალი ქვეყნიდან ... დიდი სიამოვნებით ვიხილავდით ძიუდოისტებს საქართველოდანაც.

... დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოწვევა თქვენთვის საინტერესო იქნება. კეთილი სურვილებით: ნორბერტ სპეკერი."

ბრემენული მხარის საქმიანი და, მართლაც, საინტერესო წინადადება, ცხადია, კასპის მუნიციპალური ხელმძღვანელობის მხრიდან მიჩნეულიქნა ორმხრივად სასარგებლო ნაბიჯად, პერსპექტიულ ღონისძიებად და ამიტომ მისაღებადაც, ანუ მხარდასაჭერადაც და სამოქმედოდაც.

ახლახან, 15 მარტს, კასპის მერიაში გაიმართა მიღება კასპის სპორტული დელეგაციის წევრებისა. მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მისმა მოადგილემ ზურაბ კოპაძემ (რომელიც უხელმძღვანელებს ჯგუფს), საკრებულოს თავმჯდომარემ შმაგი ბეგლარაშვილმა, ასევე, სპორტგაერთიანების თავკაცებმა შოთა გოგიაშვილმა და იოსებ მამულაშვილმა საქმიანად და დამრიგებლურად ისაუბრეს სპორტსმენებთან, ვინც საგანგებოდ შეირჩნენ ბრემენული მისიისათვის

(იმის შესახებ კი, თუ ვის გაუჩნდა ბრემენში კასპელი მოჭიდავეების მიწვევის იდეა და, როგორც ვხედავთ, წარმატებით განახორციელა, ჩვენი ქვეყანა ვინ წარმოადგინეს გერმანული ისტორიული ქალაქის სპორტულ სარბიელზე, ანდა, როგორ შედეგებს მიაღწიეს მათ ბრემენის მასტერსზე, აპრილის სპორტულ გამოშვებაში მოგითხრობთ).

ჩვენი ლიცენზიანტები

კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში კახა ხუბაშვილი გვესაუბრება კასპელი მოსწავლე-ძიუდოისტების გამოსვლის თაობაზე სალიცენზიო პირველობაში, რომელიც მარტის დასაწყისში გაიმართა თბილისის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის ტატამზე:

– საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი) იგივე მიდგომით ატარებს კადეტთა და უმცროს ჭაბუკთა შორის სალიცენზიო და სარეიტინგო ხასიათის შეჯიბრებებს, როგორც ჭაბუკთა, ახალგაზრდული და უფროსი ასაკის მოჭიდავეებს შორის.

წლევანდელი პირველი ასეთი შეჯიბრებები, 2010-11 წლებში დაბადებული ნორჩი ძიუდოისტებისათვის თებერვალში ჩატარდა. ჩვენდა დასანანად, სალიცენზიო (შესარჩევი) ბარიერი კასპელთაგან ვერავინ გაიარა. ამიტომ იყო, რომ მომდევნო ეტაპზე, სადაც გამოსულებს სარეიტინგო ქულები ერიცხებოდათ, ხუთ წონითი კატეგორიის საუკეთესო ოთხეულებში (ანუ, 20 ჩემპიონ-პრიზიორში) ჩვენი ვერც ერთი წარმომადგენელი მოხვდა. ფედერაციის ასეთი მიდგომა ნოვაციურია, ითვალისწინებს ძიუდოისტთა ზრდასა და დაოსტატებას, ეტაპობრივი წინსვლისა და გადასვლის გზით. იგი გამომდინარეობს მისი ახალი პროექტიდან "მილიონი ლარი პირადი მწვრთნელებისათვის". ამიტომ სტიმულირებისათვის ახალ-ახალ შანსს იძლევა. აი, ამისი გამოძახილი იყო ე. წ. "მეორე დონის" სალიცენზიო შეჯიბრება იმავე ასაკობრივი მოჭიდავეებისათვის, რომელიც ა. წ. 9 მარტს ძიუდოს აკადემიაში გაიმართა. ჰოდა, მეორედ მოცემული შანსი ჩვენმა ბიჭებმა გამოიყენეს კიდეც. მათგან 4-მა წარმატებით გაიარა სალიცენზიო ბარიერი. აი, ისინიც: ჩემპიონი – გოგა ჭიხინაშვილი, მეორე პრიზიორები – ირაკლი რთველაძე და ნიკა ჩერქეზიშვილი, მესამეადგილოსანი – ლუკა მღებრიშვილი.

ახლო ხანებში ისინი სარეიტინგო შეჯიბრებაში გამოვლენ და წარმატების შემთხვევაში ქულებიც მიეცემათ.

ჯემალ ხორბალაძე — 76!

დიახ, საჩვენოში მცხოვრები, ჩვენი მიწა-წყლის შვილი სოფელ დოესიდან – ჯიმშერ (ჯემალ) ხორბალაძე თებერვალში იუბილარი გახლდათ – დაბადებიდან 76-ე წლისთავი შეუსრულდა.

კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი შოთა გოგიაშვილი, ჭიდაობის მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი) დირექციამ შუა თებერვალში ამაგდარ მწვრთნელს, ტრადიციულად, "აჩუქა" მისივე სახელობითი შეჯიბრება. ის გახლავთ ძველთაობელ მოჭიდავეთა ტრადიციების სახელოვანი გამგრძელებელი და ერთ-ერთი გამორჩეული – კასპის რაიონის ჭიდაობის ისტორიაში საშუალო თაობის წარმომადგენლებში: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ჭიდაობა ძიუდოში ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების წევრი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1973 წ.).

სახელოვანი ვეტერანის დაფასება, თავისთავად, მხარდასაჭერი ფაქტია. ამასთან, მისასალმებელი ასეთი ნიუანსიც: წლის დასაწყისში, ახალი სასპორტო სეზონის გახსნისას, ამგვარი შეჯიბრება წარმოადგენს გაერთიანებაში შემომავალი სასოფლო სპორტული ჯგუფებისა და სექციების მუშაობის თავისებურ სარკეს, მზაობისა და შედეგების შეჯამების კარგ საშუალებას.

აღნიშნულ ასპარეზობაში მონაწილეობდა 95 ნორჩი მოჭიდავე (მათგან 5 გოგონა) ქ. კასპიდანა და სოფლებიდან. აი, გეოგრაფიული არეალი: კასპი, დოესი, თელიანი, ახალციხე, ხოვლე, აღაიანი, მეტეხი, ლამისყანა, ახალქალაქი, კავთისხევი და იდლეთი. ისინი გამოვიდნენ 2 ასაკობრივ ჯგუფში (2009-10 და 2011-12-წლიანები).

მათ მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოირკვა, რომ მუნიციპალური პირველობის გამარჯვებული, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, გახდნენ სოფელ დოესის მოსწავლეები. მათი მხრიდან ესოდენი წარმატება ნამდვილად სასიურპრიზე საჩუქარი გამოდგა ამაგდარი მწვრთნელისათვის. აი, ისინიც, დოესელი გოგო-ბიჭები, ვინც იუბილარ მწვრთნელს მიუძღვნეს გამარჯვება და, აი, ისიც, ბატონი ჯემალი, ვინც სიამოვნებით ჩადგა თანასოფლელი პატარების გარემოცვაში და სამახსოვრო ფოტოც გადაიღო: ჩემპიონები – სალომე ბეგლარაშვილი, სულიკო ბეგლარაშვილი, გიორგი თაბუაშვილი, ნიკა რაზმაძე, სოსო ბეგლარაშვილი და ლევან თედეშვილი; მესამე პრიზიორი – ცოტნე შაქარაშვილი (ანუ, სულ 7 მედალი, საიდანაც ექვსი პირველადგილოსნისაა, ერთი კი მესამისა).

მეორე შედეგით თავი მოიწონეს ლამისყანელმა მოსწავლეებმა (მწვრთნელები – გიორგი ბეინაშვილი და ელგუჯა ახლოური), მათ ირგუნეს: 4 პირველი (გიგა ჭიხინაშვილი, გიორგი ახლოური, გიორგი გიგაური, საბა ჯარმელაშვილი), 4 მეორე (ნოდარ შაბიაშვილი, ნიკა გიგაური, ნიკა გვრიტიშვილი, ამირან მჭედლიშვილი) და ერთი მესამე ადგილი (მედლების რაოდენობა – 9).

კასპელმა ნორჩმა ძიუდოისტებმა ყველაზე მეტი (17) მედალი მიიღეს, მაგრამ ხარისხობრივი სინჯით ასეთნაირად გადანაწილდა: 3–7–7. კახა ხუბაშვილისა და ვასილ გვიმრაძის შეგირდებიდან პირველები იყვნენ: ლუკა და ჯემალ კოშაძეები და სანდრო მიდელაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ყველა სოფლის გუნდის წევრი გახდა ან ჩემპიონი, ან პრიზიორი, 2-2 გამარჯვებულია 3 გუნდში: კავთისხევის (საბა ირემაშვილი და საბა არაყიშვილი, მწვრთნელი ჰამლეტ წიკლაური), თელიანისა (გიგა ქვრივიშვილი და დემეტრე დემეტრაშვილი, მწვრთნელები შოთა ბეჟიტაშვილი და ვასილ ქვრივიშვილი) და ხოვლისა (საბა მეცხვარიშვილი და შალვა ედიშერაშვილი, მწვრთნელი ბექა მიქუტიშვილი).

... თვითონ იუბილარი, ვეტერანი მოჭიდავე და მწვრთნელი თანასოფლელ გოგო-ბიჭებს მადლიერი ხომ დაურჩა და, მაინც, მათგან ერთი შეგირდი გამოარჩია: ბატონმა ჯემალმა სპეციალურად გამოყოფილი პრიზი (დიდი თასი) გადასცა ნიკა რაზმაძეს.

როცა ინტერნეტი ჯერ არსებობდა ...

დიახ, ბატონებო, იყო დრო, როცა ინტერნეტი არ არსებობდა. იმ სინამდვილეში ფილმებს კინო-თეატრებში ნახულობდნენ, ახალ ამბებს "სარაფანების რადიო" ავრცელებდა, ჭორების განხილვა სამეზობლო სკამებზე ან სამზარეულოში ხდებოდა... გასული საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულს კასპში დაიწყო მშენებლობა და 1952 წელს საზეიმოდ გაიხსნა კულტურის სახლი.

ის ჩვენი, ჩვენი ქალაქის ცხოვრების აუცილებელი, ურბანული განვითარებისა და განაშენიანების წინა საუკუნიდან შემორჩენილი ნაგებობაა, მაღალი და ნათელი თაღოვანი სვეტებით...

ფაქტი და რეალობა ერთნიშნეულია: ჩვენი ქალაქის ცენტრში წამომართული მშვენიერი შენობა ლეხურისპირულ კუთხეში გაშლილი კულტურული ცხოვრების პულსის თანაზიარია, მისი დონის განმსაზღვრელია, მისი რაობის წარმომსახველია. აქ, მეცემენტეთა ქალაქის კულტსახლის სცენაზე, წარმოჩენილა თვით საქვეყნო კულტურული მიღწევების დინება, დედაქალაქს თავისი სახელოვნებო ოსტატობისათვის უზიარებია ადგილობრივი პუბლიკა, კასპელ მაყურებელს შემფასებლობაც სჩვეოდა და უამრავი ცნობილი მსახიობისათვის, მომღერლისათვის, ქორეოგრაფისათვის უძღვნია გულმხურვალე ტაში, მადლიერების ნიშნადა და დასტურად.

***

კასპის კულტურის სახლის (ცენტრის) გუშინდელობასა და დღევანდელობაზე საუბრისას, უპირველესად, ის თარიღები უნდა გავიხსენოთ, მის მშენებლობასა თუ განვლილი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო-განახლების სამუშაოებს რომ უკავშირდება. შემდეგში – მხედველობაშია მისაღები მისი უწყებრივი დაქვემდებარების პერიოდებიც: კასპში კულტურის სახლი ააშენა აქაურმა ყველაზე დიდმა საწარმომ და გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სწორედაც კასპის ცემენტის ქარხანას (ცემენტ-შიფერის კომბინატს, საწარმოო გაერთიანება "კასპიცემენტს") ეკუთვნოდა; 1994 წლიდან კი გადავიდა რაიონულ კუთვნილებაში.

მაშ ასე: 1948 წლის 13 აგვისტო – ხელმოწერილიქნა ბრძანება მშენებლობის დაწყების თაობაზე; 1952 წლის 25 თებერვალი – ახალი კულტსახლი (ანუ კლუბი) საზეიმოდ გაიხსნა; 1989-90 წლები – სარემონტო სამუშაოები; 2000 წლის ნოემბერი – 2004 წლის მაისი: აღდგენითი სამუშაოები; 2022-23 წლები – შენობის გარეფასადის რეაბილიტაცია; 2023-24 წლები – შიდაგანახლების ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელება (გრძელდება, დასრულდება აპრილში).

***

უცვლელად წარმოგიდგენთ საგაზეთო ერთ პუბლიკაციას, რომელიც 1993 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა კასპის რაიონული გაზეთის პირველ გვერდზე - რუბრიკით "ჩვენი ქალაქის ქრონიკები":

"კასპის მეცემენტეთა კულტურის სახლი უძველესი და უდიდესი კულტურული დაწესებულებაა ქალაქში. ორიოდე წლის წინ მისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა წამოიჭრა. მაგრამ კარგად დაწყებული საქმე შეფერხდა და მერე კიდეც შეჩერდა...

ახლახან, 22 თებერვალს, რაიონის კულტურის განყოფილების გამგის, ბატონ გერისო კელაპტრიშვილისაგან შევიტყეთ:

– ამ დღეებში გადაწყდა, რომ საწარმოო გაერთიანება "კასპიცემენტის" კულტსახლი გადმოეცემა კულტურის განყოფილებას. ოღონდ, ეს მოხდება მისი გარემონტების შემდეგ

აი, სარემონტო სამუშაოები კი თუ როდის დამთავრდება, მეორე დღეს ამის თაობაზე ნაწილობრივი პასუხი მოგვცა კოოპერატივ "სიკეთის" თავკაცმა, ბატონმა თამაზ ონიკაძემ:

– ამჟამად ვასრულებთ სპეცსამუშაოებს. უნდა მოვაწყოთ და გავმართოთ საკანალიზაციო, სავენტილაციო და ცენტრალური გათბობის ქსელები. ამ მხრივ წელს საეჭვო აღარაფერია... ისე კი, ხელი მშენებლებსაც არ უნდა შეეშალოს, რადგანაც ყველა საჭირო მასალა თითქმის შემოტანილია...

ასე თუ ისე, პასუხი კითხვაზე – როდის დასრულდება კასპელთათვის საყვარელი კულტსახლის რემონტი? – ჯერაც გაურკვეველია".

... ოცდათერთმეტი წლის წინანდელი ამბავი კეთილად გაირკვა და დასრულდა კიდეც. მაშინ კომბინატს თავკაცობდა დიდი გაქანების მქონე მრეწველი და მეცემენტე პიროვნება – ნოდარ ვაშაძე, რომელიც ქვეყნის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრობის შემდეგ კასპში დირექტორად გამომწესდა და "განახლების ჯადოსნური ჯოხი" დააატრიალა ქარხანაში, მიხედა საქალაქო მასშტაბის სამშენებლო პროექტებსაც, მათ შორის – კულტურული დანიშნულებისასაც. აკი, კულტურას მუდამ ჰყავდა მფარველები.

***

საქართველოში ძნელად მოინახება სახელმწიფო აკადემიური თუ თვითმოქმედების მხატვრული კოლექტივი, რომელიც კასპის კულტურის სახლის (ცენტრის) სცენაზე ერთხელ მაინც არ გამოსულა. მარტოოდენ თვალის გადავლებაც საკმარისია შთაბეჭდილების მოსახდენად:

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი (ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრი, ქალაქ რუსთავის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ქალაქ გორის - გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრი, მესხეთის (ქალაქ ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრი...

ახლა, ვოკალურ ინსტრუმენტულ ანსამბლებსა და ორკესტრებს

დასასრული გვ 8.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებამ კასპის ტექნოპარკის დარბაზში ჩაატარა შეხვედრა - დისკუსია "ფილმი და მაყურებელი". გაიმართა ლევან ანჯაფარიძის ფილმის, "მტერი ჩემი - ძმა ჩემი", ჩვენება ფილმის რეჟისორის თანხლებით.

ფილმი მოგვითხრობს 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტზე, რომელშიც ასახულია ქართველი და აფხაზი ადამიანების ურთიერთობა, ასევე, კავკასიელ ხალხთა დამოკიდებულება ამ კონფლიქტის მიმართ.

სცენარის ავტორები: ლევან ანჯაფარიძე, ზაურ კალანდია, ოპერატორი: ბაქარ შარაშენიძე, მხატვარი: გია ლაფერაძე, კომპოზიტორი: კაკო ვაშალომიძე, ხმის ოპერატორები: გია ჯავახიშვილი, იგორ ზოლოტაროვი, მონტაჟი: ილია ფარსადანიშვილი, მარიამ დვალიშვილი.

ფილმში როლებს ასრულებენ: ზურა სულხანიშვილი (გია), ტატო ჩახუნაშვილი (ჯუმა), ზაზა ჭიჭინაძე (ტოგო), ალექსანდრე ბეგალიშვილი (ჩუპო), გია ბურჯანაძე (გიორგი), გიორგი ზანგური (თარაში), დათო როინიშვილი (დათო), მალხაზ აბულაძე (რამზან რამზანოვი), გიორგი ბარამიძე (რუსი გენერალი), ვახტანგ ნოზაძე (ადიუტანტი), პაატა მოისწრაფიშვილი (შამილი), ზურაბ ჭიპაშვილი (დაური), გია კორკოტაშვილი (გია).

ფილმის პროდიუსერია ლელა მაქაცარია - ანჯაფარიძე.

შეხვედრამ ისეთ ემოციურ მუხტში ჩაიარა, დამსწრე საზოგადოება და მოწვეული სტუმრები, კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, მხატვარი ეკა მუხაძე, ერთი ტკივილით, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარებით გააერთიანა.

გაიმართა ღია მსჯელობა ფილმის თემის გარშემო. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი; კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი; კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი; გაზეთ "ახალი განთიადის" კორესპონდენტი ამირან ტალახაძე. შეხვედრა მოამზადა და მიჰყავდა ლია მენაბდიშვილს.

არის შეხვედრები, რომლებიც დიდი ხნით არ გტოვებენ, სწორი ფიქრით იმედით გავსებენ და უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტის გზასაც გაჩვენებენ ...

ასეთი აღმოჩნდა შეხვედრა ფილმის შემქმნელებთან. სამშობლოს მსახურების მრავალი გზა არსებობს, თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანესია. ყველა გადაწყვეტილებას გააზრება და ფიქრი უსწრებს წინ. მადლობა, ვინც შეგვეხიდება

სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ბოლოს და ბოლოს, სამშობლოს მსახურება არც ისე რთულია, თუ გულწრფელად გიყვარს ის.

შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის ომის ვეტერანები კასპის მუნიციპალიტეტიდან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეები. მადლობა სკოლის დირექტორებს მოსწავლეების დასწრების ორგანიზებისათვის.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვთქვამთ ტექნოპარკის ხელმძღვანელის ხატია ბაინდურაშვილი მიმართ გულთბილი მასპინძლობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

ფეხბურთი:

ლეხურისპირელთა ძველი და ახალი მეტოქეები

19 მარტს გაიმართა ქალაქ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული "რეგიონული ლიგის" 2024 წლის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წილისყრა.

ამდენად, საშუალება გვეძლევა, წარმოგიდგინოთ ჩვენი გუნდის მეტოქეთა სიობრივი ჩამონათვალი: ახალქალაქის "აბული", ახალციხის "სამცხე", ქარელის "ქარელი", ხაშურის "ივერია", თბილისის "ნორჩი დინამო", თბილისის "გლდანი", "დინამო სოხუმი", დუშეთის "არაგვი - 2", თბილისის "სპაერი - 2", თბილისის "ვაზისუბანი", თბილისის "იუჯი" (35-ე სკოლა) და "დინამო "გაგრა".

წილისყრით გუნდები ორ ჯგუფში გადანაწილდნენ, რის შედეგად "კასპი – 1936" მოხვდა "ბ" ჯგუფში, ამიტომ ზოგიერთ ნაცნობ მეტოქე-გუნდს, ვისთანაც შარშან და მანამდე უხდებოდა თამაში, ასცდა და, თავისთავად, ზოგიც ახალი მეტოქე ეყოლება. ლეხურისპირული საფეხბურთო გუნდი "კასპი–1936" მეხუთე სეზონის მარათონს შეუდგება ამა წლის ორი აპრილიდან, როცა თბილისში, მუხიანის სტადიონზე, გამართავს პირველ თამაშს გაგრის გუნდთან.

დასასრული. დასაწყისი გვ 7.

ვხვლია ცვხვეშვო ბვგვ-ბვლია ოყმიც ძველ ცყე-ჭვრეში

75 ბავშვზე გათვლილი საბავშო ბაღი კასპი, სოფელი ოკამი

დასასრული დასაწყისი გვ 4.

სააღმზრდელო ესტაფეტური მისია გასული საუკუნის ბოლომდე ატარა.

... ახლანდელი სიახლე სოფელში ყველას ახარებს. პირადად სხვანაირად მაფორიაქებს მეც და ჩვენს გუნდში მომუშავე კოლეგებსაც. ჩვენ ხომ მეორე ოჯახად მიჩნეული საბავშვო ბაღის ჭერქვეითის გამოცვლა გვიხდება, იმ მიჩვეულსა და შინაურულ გარემოს უნდა დავემშვიდობოთ და, ვფიქრობთ, რომ უკვე წლევანდელი სექტემბრიდან ოკმელ ბავშვებთან ერთად ახალში ვივლით უფროსებიც. დიახ, დროის ფაქტორია: გვეძვირფასება ძველი, მაგრამ მივესალმებით ახალს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

დასასრული. დასაწყისი გვ 7.

როცა ინტერნეტი ჯერ ჯერობით . . .

არ იკითხავთ? "ორერა", "ვია-75", "რერო"...

დედაქალაქურ მუსიკალურ ცხოვრებას თავისებურად თანმიმდევრული ნაბიჯსვლით მიჰყვებოდა თვით აქაური კულტსახლის წიაღში შექმნილი და მოქმედი მოყვარული, პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები: "იბერია", "ფანტელი", "ელექტრონი", "საპოვნელა"... გაუნელებელი იყო კასპელი ახალგაზრდების ენთუზიაზმი და ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნიჭიერების გზაზე მიგნებული ენერგია, სურვილი; საფესტივალო და საოლიმპიადო გამარჯვებებს აქაურ სცენაზე ეყრებოდა ნიადაგი და აქედან გადაჰქონდათ შემართება და ცეცხლოვანება თბილისურ თუ გარესაქვეყნო სცენებზე...აბა, რომელი ჩვენებური, მეტნაკლებად ცნობილი ხელოვანი არ გავიხსენოთ: ოპერის სოლისტი თენგიზ ზაალიშვილი, სიმღერის მაესტრო ომარ კელაპტრიშვილი, ცეკვის აკადემიური ანსამბლის სოლისტები ტარიელ მილაძე და ნოდარ რუსიშვილი... ქორეოგრაფიის დედოფლები – რუსუდან მჭედელაძე, იზაბელა თაბუკაშვილი, მერი მამუკაძე... მუსიკოს-შემსრულებლები და მეინსტრუმენტეები – რობერტ და ალიკა პეტრიაშვილები, ტარიელ გურგენიძე, თენგიზ აბდუშელიშვილი, შალვა ტატუნაშვილი, ჯემალ და მანანა ყაზარაშვილები, ნუკრი გიგოლაშვილი, გელა და ტარიელ მაჭარაშვილები, გივი გიგაური (შემდგომში – კულტურის სახლის დირექტორი), თამაზ შუბითიძე, დიმიტრი მჭედლიშვილი, მამუკა ჭიჭინაძე, თამაზ ოშაყმაშვილი...

***

კასპელი მეცემენტეები, ელექტროაპარატმშენებლები, მეკონსერვეები, საშუალო სკოლების მოსწავლეახალგაზრდობა და პედაგოგიური კოლექტივები, სტუდენტები, სპორტსმენები შემოქმედებით შეხვედრებზე ეპატიჟებოდნენ და გულთბილად ხვდებოდნენ ცნობილ მწერლებს, პოეტებს, მომღერლებს, ფერმწერებს, სპორტის ჩემპიონებს... და სად უნდა გამართულიყო ესოდენ ორმხრივად სასარგებლო და საჭირო, საინტერესო, დაუვიწყარი პოეზიის საღამოები, გულახდილი დიალოგები, განხილვები, თემატური საუბრები, თუ არა – კასპის კულტურის სახლის სცენაზე, დარბაზში, კულისებში, ფარდის მიღმა თუ პარტერში, რამპის შუქზე...

მოდი, შევთანხმდეთ, რომ ყველაფრისა და ყველას ჩამოთვლა საგაზეთო ფორმატით შეუძლებელია. კასპელებს გვახსოვს სტუმრობა აკადემიკოსებისა, სახალხო არტისტებისა, ლაურეატი პოეტებისა და მწერლებისა: ირაკლი აბაშიძისა, ჭაბუა ამირეჯიბისა, ნოდარ დუმბაძისა, მიხეილ ქვლივიძისა, მარო თარხნიშვილისა, იპოლიტე ხვიჩიასი, ოთარ კობერიძისა, თენგიზ არჩვაძისა, მედეა ჩახავასი, გურამ საღარაძისა, დოდო ჭიჭინაძისა, გოგუცა კუპრაშვილისა, თემურ ჩხეიძისა... დიდი "დინამოს" გუნდისა, ევროპული თასის მომპოვებლისა... ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილისა და "ჯადოქარი ჩემპიონი" მიხეილ ტალისა...

კიდევ? – დანარჩენი თვითონვე გაიხსენეთ და ჩამოთვლა გააგრძელეთ, შეეხეთ ჩვენი ქალაქის კულტურის კერის ისტორიის ფოლიანტებსა და გახუნებულ-გაუხუნარ ფურცლებს!

***

2023 წლის შემოდგომით დაწყებული შიდა სივრცითი მასშტაბის განახლების პროექტის მიმდინარეობას სულ მალე წერტილი დაესმება და კულტსახლი კვლავ გახსნის კარს. მას ვინ და როგორ ანხორციელებს, ამის თაობაზე საუბარი ეგების, სააპრილოდ უკეთესი იყოს. მაშინ მისი დირექტორებიც გავიხსენოთ, ვინც კულტურის "ფრონტზე" ამაგდარობდნენ, გამოდიოდნენ სახალხო დღესასწაულების დაწესება-ჩატარების ინიციატორებად. ამასთან, თვითონვე იყვნენ მუსიკოს-შემსრულებლები, სოლისტები.

შეხვედრები, შეხვედრები

ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოეწყო ომარ კელაპტრიშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლასთან არსებული ხატვის წრის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა (პედაგოგი მაკა კაიშაური).

ბავშვებმა წარადგინეს შესანიშნავად შესრულებული ნახატები, რომლებმაც დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოიფინა მანანა კელაპტრიშვილის კოლექციიდან სრულიად ახალი ხელნაკეთი თოჯინები.

ღონისძიება გაალამაზეს მუსიკოსის ნანა შალიტაურის მოსწავლეებმა. მათ ხალხურ საკრავებზე არაჩვეულებრივად შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. ოთხ მრავალშვილიან დედას გადაეცა სამახსოვრო სიმბოლური საჩუქარი. მონაწილეები დასაჩუქრდნენ წიგნებით („გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა").

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

გვმოიწერეთ გაზეთი ,,ვხვლია გვნთიავლი,,! გვხლით ჩვენი მეითხველია!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76